განხილულია №11 პედსაბჭოს სხდომაზე 12.09.2023 წ.

„ვამტკიცებ“ შ.პ.ს. „ოქროს აკვანი“ კერძო სკოლის
დირექტორი /მ. მიქაძე/
ბრძანება №2/98 12.09.2023 წ.

## შ.პ.ს. „ოქროს აკვანი“ კერძო სკოლის ადაპტაციის წესი

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. შპს „ოქროს აკვანი" კერძო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესი (შემდგომში „წესი“) შემუშავებულია სკოლის სასწავლო პროცესში მოსწავლეების ჩართულობის გასამარტივებლად
2. ეს წესი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ამ მუხლის პირველი პუნქტის ადაპტაციის პრობლემები

**მუხლი 2. ადაპტაციის მნიშვნელობა**

1. ადაპტაცია წარმოადგენს სხვადასასხვა ინსტრუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლის მიზანია რაც შეიძლება სრულფასოვნად და ეფექტიანად მოხდეს ახალი მოსწავლის ინტეგრაცია სკოლის სოციალურ გარემოსთან, კულტურასა და ღირებულებებთან.
2. მოსწავლის ადაპტაციის პერიოდი შეიძლება მოიცავდეს 2-3 კვირიდან 6 თვემდე პერიოდს მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
3. ადაპტაცია მოიცავს მოსწავლის სკოლაში მიღებას, ორიენტაციასა და მენტორინგს.
4. ადაპტაციის პროცესის ეფექტიანობას განსაზღვრავს პროცესში ჩართული მხარეების ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია.
5. მოსწავლეთა სკოლასთან წარმატებული ადაპტაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო მოტივაცია. განსაკუთრებით სასკოლო სწავლების პირველ წელს ის ძირითადად უფროსების მიერ არის უზრუნველყოფილი. იმაზე, თუ როგორ ხვდებიან ისინი ბავშვის მცდელობას გაიგოს და აითვისოს რაღაც ახალი, ბევრად არის დამოკიდებული რამდენად მოუნდება ბავშვს სწავლა. სასწავლო მოტივაციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის პირველ ნაბიჯებს სკოლაში უფროსები შეხვდნენ ინტერესით და გაგებით (იხ. დანართი N1)

**მუხლი 3. ადაპტაციის მიზნები**

ადაპტაციის მიზნებია:

1. ახალი მოსწავლის სკოლაში/კლასში სწრაფი ინტეგრაცია, სოციალიზაცია და ორიენტაცია;
2 ორგანიზაციაში არსებული ღირებულებების, კულტურისა და წესების შესახებ ინფორმირება;
3.საჭირო უნარების გამომუშავებაში დახმარება და მისთვის დაკისრებული მოვალეობებისა შესახებ ინფორმირება;
4. ახალი მოსწავლისთვის სკოლის მისიის, ხედვის, შინაგანაწესისა და სხვა ღირებულებების გაცნობა.

**მუხლი 4.ადაპტაციაში ჩართული პირები**
1. მოსწავლის ადაპტაციის პროცესში ჩართული არიან სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები და თანაკლასელები.
2. ჩართული პირების მთავარ როლს წარმოადგენს ახალ მოსწავლესთან რეგულარული კომუნიკაციის დამყარება, ძირითადი ინფორმაციისა და რესურსების მიწოდება, მისი დაკავშირება სკოლაში მომუშავე სხვა ადამიანებთან და სკოლის ინფრასტრუქტურის გაცნობა.

**მუხლი 5. ადაპტაციის ეტაპები**
სკოლასთან ადაპტაციის ეტაპებია
**1.მოსამზადებელი ეტაპი** - ახალი მოსწავლის სკოლაში გამოცხადებამდე პერიოდი ჩართულ მხარეებს საშუალებას აძლევს, რომ ახალი მოსწავლე მიიღონ მომზადებულ გარემოში, რითაც დაეხმარებიან სწრაფ და ეფექტურ ორიენტაციაში. მაგალითად, კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებსა და კლასის პედაგოგებს მაიწვდის ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ და შეუქმნის მოლოდინს. მასწავლებლებს, ასევე, მიაწოდებს ინფორმაციას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ინტერესების შესახებ და ასევე, მშობლების მიერ მიწოდებული თხოვნებს მაგ. სახელის დაძახებასთან დაკავშირებით. სკოლის ადმინისტრაცია ექიმს გადასცემს მონაცემებს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და სხვა. ამავე პერიოდში უკეთესია, თუ მოხდება მოსწავლისთვის ინფრასტრუქტურის გაცნობა.
**2. პირველი დღე სკოლაში** - ამ ეტაპის ამოცანაა ახალმა მოსწავლემ თავი იგრძნოს მიღებულად, მნიშვნელოვნად და კომფორტულად, რაც განაპირობებს მის სასწავლო მოტივაციას. ახალი მოსწავლის პირველ დღეს სკოლის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ, რადგან ახალი მოსწავლის დამოკიდებულებებსაც და წარმოდგენას სკოლის, თანაკლასელებისა და ზოგადად გარემოს მიმართ პირველ დღეებში მიღებული გამოცდილება განაპირობებს. ამისათვის, სასურველია მოსწავლეს პირველ დღეს სკოლის შესასვლელში შეხვდეს კლასის დამრიგებელი, რომელიც თვითონ მიაცილებს მოსწავლეს საკლასო ოთახამდე, გააცნობს თანაკლასელებს, მოუყვება დღის გეგმის (რეჟიმის) შესახებ, დაუსვამს კითხვას დამატებითი საჭიროებების ან ინფორმაციის შესახებ და სთხოვს საგაკვეთილო პროცესში ჩართვას.
**3. ადაპტაციის პერიოდი** - მოცემული პერიოდი მოიცავს მოსწავლის სრულად აპტაციას სკოლასთან. თავდაპირველად ხდება მოსწავლისთვის ქცევის წესების გაცნობა, კლასელებთან დამეგობრება, ღონისძიებებსა თუ აქტივობებში ჩართვა, დახმარება ისეთ საკითხებში, რომლებიც მისთვის უცხოა ან რთულად შესასრულებელია, ინიციატივების წახალისება, უნარების გამოკვეთა, სირთულეების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. ამავე ეტაპზე ფაქტობრივად ხდება შეჯამება თუ

როგორ გაიარა მოსწავლემ ადაპტაციის პერიოდი და რამდენად აკმაყოფილებს წარმატებული ადაპტაციის კრიტერიუმებს.

**4. ადაპტაციის სხვა შემთხვევები** - იმ შემთხვევაში თუ მოსწავლემ ვერ გაიარა ადაპტაციის პერიოდი წარმატებულად ან სკოლისათვის თავიდანვე ცნობილია მოსწავლის სირთულეების შესახებ ან მას აქვს სსსმ მოსწავლის სტატუსი, სკოლა ხელმძღვანელობს „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესების შესაბამისად.

**მუხლი 6. სკოლასთან ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორები:**

- მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები,(მისი ხასიათი, ტემპერამენტი,)
- უფროსი და-ძმის გამოცდილება,
- სასკოლო მზაობა: მოსწავლეს მინიმალურად მაინც უნდა ქონდეს გამომუშავებული დისციპლინის დაცვის უნარი. უნდა შეეძლოს გარკვეული დროის განმავლობაში კონკრეტული აქტივობების შესრულება, როგორიცაა ხატვა, ძერწვა, გაფერადება, და. ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია წესების დამორჩილება, სოციალური ადაპტაცია, შეიძლება ბავშვი გონებრივად კარგად განვითარებულია, მაგრამ ემოციურად და ფსიქიკურად მზად არაა სკოლისთვის.
- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გამოცდილება: მნიშვნელოვანია, დადიოდა თუ არა ბავშვი ბაღში. თუ არ დადიოდა, შეიძლება შედარებით გაუჭირდეს შეგუება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვი ცნობისმოყვარეა და ბუნებრივად აინტერესებს სიახლის გაცნობა, მნიშვნელოვანია, როგორ მიაწოდებს ამ სიახლეს მშობელი და მასწავლებელი.
- თვითმომსახურების უნარ-ჩვევების განვითარება: ხშირად პედაგოგისთვის სასწავლო პროცესის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცევა არა მხოლოდ ის, რომ ცალკეულ ბავშვებს ასაკის შესაფერის დონეზე არ აქვთ განვითარებული ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება და სხვა ფსიქიკური პროცესები, არამედ ისიც, რომ მათ უმრავლესობას არ გააჩნია თვითმომსახურების ჩვევები – არ შეუძლია დამოუკიდებლად სასწავლო ნივთების ამოლაგება, ჩალაგება, დამოუკიდებლად ჩაცმა, გახდა, ჭამა. პირველკლასელი ბავშვების საკმაოდ დიდ ნაწილს ასევე განუვითარებელი აქვთ ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედების უნარი, რაც საგაკვეთილო პროცესის წარმატებით განხორციელების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს. მაგალითად, მასწავლებლის მარტივი ინსტრუქცია: ამოიღეთ ჩანთიდან რვეული, წიგნი და ა.შ. – ბავშვმა შესაძლოა ვერ შეასრულოს.

**მუხლი 7. სკოლასთან წარმატებული ადაპტაციის ნიშნები:**

- ბავშვი მხიარული, მშვიდი და ხალისიანია;
- სწრაფად პოულობს მეგობრებს თანაკლასელებს შორის;
- სიამოვნებს მასწავლებლებსა და თანაკლასელებზე საუბარი;

- დაუძაბავად ასრულებს მასწავლებლის მითითებებს და ადეკვატურად რეაგირებს შენიშვნებზე;
- სიხარულით მიდის სკოლაში
- მოსწონს სასკოლო ცხოვრების წესი;
- დღის ახალი რეჟიმი მისთვის კომფორტულია (არ ტირის დილაობით, არ უჭირს ღამით ჩაძინება და ა.შ.);
- არ აქვს სკოლასთან, მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან დაკავშირებული შიშები.

**მუხლი 8.სკოლასთან დეზადაპტაციის ნიშნები/ შეგუების პრობლემები:**

- **ფიზიოლოგიური** იღლება;
- უარს ამბობს სკოლაში წასვლაზე.
- შესაძლოა, უჩიოდეს თავის ტკივილს, უმადობას;
- უჭირს საღამოს ჩაძინება და დილით გაღვიძება;
- არ ჰყავს მეგობრები,ან თავს არიდებს თანაკლასელებთან კონტაქტს
- წუწუნებს მასწავლებლის მოთხოვნებზე;
- ხშირად ჭირვეულობს,
- უჭირს სასკოლო მოთხოვნების შესრულება, ვერ იცავს სასკოლო წესებს.
-

**მუხლი 9. დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები**

1 დეზადაპტაციის პროცესისას მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლების მიერ იდენტიფიცირებულ იქნას მოსწავლის სასკოლო პროცესში ჩართულობის პროცესი, რასაც უნდა მოყვეს მშობლის დაუყოვნებლივი შეტყობინება და პროცესში ჩართვა.

2 აუცილებელია, სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში ხელი შევუწყოთ მოსწავლეს, ირწმუნოს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების.

1. დამრიგებელი ავსებინებს მოსწავლის მშობელს კითხვარს, რომლითაც უკეთ შეისწავლის ბავშვის ფსიქოპორტრეტს. (იხ დანრთი1)
2. კლასის დამრიგებლის მხრიდან მშობელს უნდა მიეცეს რეკომენდაციები. (იხ დანართი 2)

**მუხლი 10.პირველკლასელთა სკოლაში ადაპტაცია**

1. **პირველი კლასის მოსწავლეთა ადაპტაცია** არის ორგანიზმის ადაპტაცია არსებობის ახალი პირობებისადმი, რომელიც სკოლაში 2-დან 6 თვემდე გრძელდება და შედგება სამი ძირითადი კომპონენტისგან:**ფსიქოლოგიური ადაპტაცია, ფიზიოლოგიური ადაპტაცია და სოციალური ადაპტაცია.**

- **ფსიქოლოგიური ადაპტაცია.** სკოლის საზოგადოებაში, ბავშვი უფრო მკაფიოდ იწყებს თვითშეფასებას, აცნობიერებს სკოლის მოთხოვნებს,
- **სოციალური მახასიათებლები სკოლაში.** ბავშვი ადაპტირებულია ახალ კოლექტივთან, სწავლობს კომუნიკაციას,
- **ფიზიოლოგიური ადაპტაცია.** სკოლაში ბავშვის ცხოვრების წესი კარდინალურად იცვლება, მისთვის უჩვეულოა რომ დიდხანს იჯდეს ერთ ადგილას, და ჰქონდეს მოქმედების თავისუფლება.

**2.პირველკლასელთა ადაპტაციის მნიშვნელობა**

- სკოლასთან პირველკლასელის ადაპტაცია სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, რადგან სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული დამოკიდებულებები და ღირებულებები განსაზღვრავს

ბავშვის მთელი სასკოლო ცხოვრების ხასიათს, იმას, თუ რამდენად საინტერესო და მიმზიდველი იქნება მისთვის სკოლა და სწავლა.

- ბავშვის ცხოვრებაში პირველი სასწავლო წელი არის ძალიან რთული და კრიტიკული პერიოდი, რადგან იცვლება მისი ადგილი სოციუმში, მისი ჩვეული ცხოვრების რეჟიმი. ბავშვი იღებს ახალ გამოცდილებას სოციალურ ურთიერთობებში.
- სასკოლო მზაობისთვის მოსწავლეს მინიმალურად მაინც უნდა ჰქონდეს გამომუშავებული დისციპლინის დაცვის უნარი. უნდა შეეძლოს გარკვეული დროის განმავლობაში კონკრეტული აქტივობების შესრულება, როგორიცაა ხატვა, ძერწვა, გაფერადება და. ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანია, რამდენად შეუძლია წესების დამორჩილება და სოციალური ადაპტაცია. შესაძლოა, მოსწავლე გონებრივად კარგად განვითარებულია, მაგრამ ემოციურად და ფსიქიკურად მზად არაა სკოლისთვის. ამასთან, სხვა და სხვა მიზეზის გამო პირველკლასელები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან სკოლისათვის მზაობის დონით. არა მხოლოდ ინტელექტუალური, არამედ ფიზიკური, პიროვნული და სოციალური მზაობის დონითაც. პირველკლასელი მოსწავლეების საკმაოდ დიდ ნაწილს ასევე, უჭირს ინსტრუქციის შესაბამისად მოქმედება, რაც საგაკვეთილო პროცესის წარმატებით განხორციელების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს.

**მუხლი 11. მობილობის წესითგადმოსული მოსწავლის ადაპტაცია**

ახალი მოსწავლის გადმოსვლისას მნიშვნელოვანია კლასის დამრიგებლის როლი.

1. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს;

2. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს;

3. ახალი მოსწავლეს პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე)დამრიგებელი აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას;

4. სკოლა უზრუნელყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (სააქტო დარბაზის, ლაბორატორიების, კაბინეტების, ეზოს და სხვა ტერიტორიების გაცნობას);

5. დამრიგებელი წინასწარ აცნობს კლასის მშობლებს ინფორმაციას ახალი მოსწავლის შესახებ (შესაძლებლობის შემთხვევაში მოსწავლეებსაც ესაუბრება);

6..დამრიგებელი ავსებინაბს მოსწავლის მშობელს კითხვარს, რომლითაც უკეთ შეისწავლის ბავშვის ფსიქოპორტრეტს. (იხ დანრთი3)

7.დამრიგებელი მუდმივ კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს ინფორმაციას მოსწავლის განწყობისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

8. სასურველია სასწავლო წლის დასაწყისში მოეწყოს სასწავლო შემეცნებით ექსკურსიები, სადაც არაფორმალურ გარემოში, თამაშითა და სხვა აქტივოებებით ხდება მოსწავლეთა უკეთ გაცნობა და ადაპტაცია.

**მუხლი 12. მოსწავლეთა ადაპტაცია საფეხურის დაძლევისას**

1.საფეხურიდან საფეხურზე გადასვლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელსაც ხშირ შემთხვევაში თან ახლავს დამრიგებლის ცვლა, ახალი საგნების და მასწავლებელთა გაცნობა, ახალი დღის რეჟიმი, დამატებითი პასუხისმგებლობები და სხვა.

2.მნიშვნელოვანია ტრანზიციის პროცესზე მუშაობა იყოს მოქნილი და მრავალფეროვანი, როგორც კლასთან, ასევე საერთო-ინტერესების მქონე ჯგუფებთან და ინდივიდებთან.

რეკომენდირებულია პედაგოგებმა როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლებს წარუდგინონ საბავშვო/საშუალო საფეხურის მიზნები, ხაზი გაუსვან მომავალი ცხოვრების დაგეგმვის პროცესის წამოწყებას.

**მუხლი 13. დასკვნითი დებულებები**

1. მოსწავლეთა სკოლასთან ადაპტაციის წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.
2. წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ასევე, ძალადაკარგულად გამოცხადება ხდება ამავე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**დანართი N1.**

**სკოლა „ოქროს აკვანი“**

***ჩვირფასო მშობლებო!***

**გთხოვთ, დაუთმოთ რამდენიმე წუთი ამ კითხვარის შევსებას და ხელი შეგვიწყოთ ჩვენი პარტნიორობისთვის ინფორმაციის მოპოვებაში.**

| | |
|---|---|
| **ბავშვის სახელი და გვარი** | |
| **მშობლის სახელი და გვარი** | |
| **მშობლის მობილურის ნომერი** | |
| **და დის თუ არა თქვენი შვილი რაიმე წრეზე, თუკი, რომელზე?** | |
| **და დის თუ არა ბავშვი ბაღში?** | |
| **გვიამბეთ თქვენს ბავშვზე:** მაგალითად: რისი კეთება უყვარს, რა გამოსდის განსაკუთრებულად კარგად? რა არ უყვარს? როგორ მიმართავთ სახლში? ხომ არ მოდის ამ სკოლაში მისი მეგობარი/ნაცნობი ან ნათესავი? რა ეხმარება ახალგარემოსთან შეგუებაში? რა ეხმარება სწავლაში/ურთიერთობის დამყარებაში? | |
| **ის, რაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ თქვენს ბავშვზე...** ხომ არაქვს ალერგია, თუკი, რაზე? ხომ არაქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სჭიროებები, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ? რაში საჭიროებს განსაკუთრებულ ხელშეწყობას? | |
| **გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ...** რომელია საკომუნიკაციო ენა | |

| | |
|---|---|
| ბავშვისთის?ვინარის ბავშვისთვის პრიორიტეტული ადამიანი?სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის ჩვენთვის გაზიარებასაც ისურვებდით? | |
| **სკოლის პირველ დღეები....**რა შეიძლება განსაკუთრებულ დ გაუჭირდეს ბავშვს სკოლის დაწყების პირველდღეებში და რა დეხმარება მას? მაგალითად,როგორი რეაქცია ექნება პიველდღეს უცხო გარემოში?,ზარის ხმაზე? შეძლებს თუარა მშობლის გარეშე დარჩენას? | |

**დანართი N2.**

**რეკომენდაციები მშობლებისთვის სკოლასთან ადაპტაციის ხელშესაწყობად:**

ვინაიდან სკოლასთან ადაპტაციის პროცესში წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მშობლებზე, სასურველი იქნება, თუ ისინი გაითვალისწინებენ შეთავაზებულ რეკომენდაციებს. ამით ისინი დიდ დახმარებას გაუწევენ როგორც შვილებს, ისე მათთან მომუშავე მასწავლებლებსაც, რაც, თავის მხრივ, სასწავლო პროცესში წარმატების საწინდრად (წინაპირობად) იქცევა.

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება გააკეთოს მშობელმა დაუთმოს შვილს, დრო და ყურადღება, იყვნენ მხარდამჭერი და გაუწიონ დახმარება სირთულეების დაძლევაში.
- მშობლების დადებითი დამოკიდებულება სკოლასთან, მასწავლებლებთან გაუიოლებს ბავშვს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს;
- აუცილებელია, სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებში დავეხმაროთ ბავშვს, ირწმუნოს საკუთარი ძალების და შესაძლებლობების;
- ნუ გაგაღიზიანებთ ბავშვის წარუმატებლობა. ეცადეთ, მისი სასწავლო საქმიანობა მხოლოდ დადებითად შეაფასოთ, მაშინაც კი, თუ გეჩვენებათ, რომ მიღწეული წარმატება საკმარისი არ არის. ეცადეთ, მშვიდად შეხვდეთ მის მარცხს, რადგან პატარა მტკივნეულად განიცდის მშობლის განაწყენებას.
- ნუ ეჩხუბებით იმის გამო, რომ რაღაც კარგად ვერ გაიგო ან ვერ გააკეთა; წაახალისეთ ბავშვი დადებითი კომენტარებით, შექებით.

- სკოლასთან ადაპტაციის პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღის რეჟიმის სწორად შედგენა. დატვირთვის შესამცირებლად და გადაღლის თავიდან ასაცილებლად სასურველია დღის რეჟიმის ორგანიზება (ძილის, გაღვიძების, ჭამის და.ა.შ.). საშინაო დავალებები უნდა შესრულდეს არა გვიან საღამოს, ძილის წინ, არამედ შუადღისას. გარდა ამისა, ბავშვს უნდა რჩებოდეს დრო თამაშისთვის, მულტფილმების საყურებლად, სასეირნოდ და ა.შ.
- განსაკუთრებული ყურადღება დავუთმოთ ფიზიკურ აქტივობებს. პატარები ყველაზე დიდი გატაცებით მოძრაობით თამაშებს თამაშობენ. სკოლაში სწავლის დაწყებასთან ერთად, გაკვეთილებზე შესვენებების მიუხედავად, ბავშვის მოძრაობითი აქტივობა შესამჩნევად მცირდება, რაც შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს მისი ზრდისა და განვითარებისთვის, აუცილებელია, ბავშვი სკოლის გარეთაც იყოს დაკავებული მოტორული აქტივობებით და თამაშებით.
- ხელი შევუწყოთ ბავშვის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას და ვასწავლოთ მას სასკოლო სირთულეებისთვის დამოუკიდებლად თავის გართმევა; ეცადეთ უპასუხოთ ბავშვის ყველა კითხვას, ვინაიდან ცნობისმოყვარეობას ამ ასაკში საზღვრები არ გააჩნია;
- დაეხმარეთ ბავშვს თანატოლებთან კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. სასურველია მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
- გაითვალისწინეთ თქვენი შვილის ტემპერამენტი. აქტიურ ბავშვებს უჭირთ ერთ ადგილას დიდხანს ჯდომა, დინჯი ბავშვებისთვის კი რთულია სასკოლო რიტმთან შეგუება;
- არასოდეს არავის შეადაროთ საკუთარი შვილი. ასეთი შედარებებით შეიძლება საკუთარი თავის რწმენა დავაკარგვინოთ და თვითშეფასებაც დავუქვეითოთ. შეიძლება მხოლოდ ბავშვის დღევანდელი მდგომარეობის შედარება მის წარსულ მიღწევებთან პოზიტიურ კონტექსტში.
- ადაპტაციის პროცესში ბავშვის ქცევაში აღმოჩენილი სირთულეების გამო მშობლებს ხშირად უჩნდებათ უკმაყოფილების განცდა და ამას არც ბავშვთან მალავენ, რაც პატარას შფოთვას და შიშს უძლიერებს – იმის შიშს, რომ მშობლებს იმედები გაუცრუა, ეს კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო ართულებს სკოლასთან ადაპტაციის პროცესს.
- გვახსოვდეს, რომ სიზარმაცე და ჭირვეულობა წარმავალია. არ ღირს ბავშვთან ჩხუბი და მისი დასჯა. უკეთესი იქნება, თუ დავეხმარებით პატარას, შევეცდებით დავუთმოთ მას მეტი დრო და ყურადღება. კარგად მუშაობს ყველა ხერხი: მოფერება, საალერსო სიტყვები, ჩახუტება, გულახდილი საუბრები, ზღაპრების მოყოლა ძილის წინ და სხვა
- გვახსოვდეს, რომ ბავშვს ჩვენი სიყვარული და მხარდაჭერა უფრო მეტად სჭირდება მაშინ, როცა სირთულეების წინაშე დგას
- გვახსოვდეს, რომ ბავშვების პრობლემები უფროსების პრობლემებზე მარტივი არ არის. კონფლიქტი მასწავლებელთან ან თანატოლთან ემოციონალური დაძაბულობით და შედეგებით შეიძლება უფრო მძიმე აღმოჩნდეს, ვიდრე ოჯახის უფროსი წევრების კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან სამსახურში

**შემეცნებითი პროცესების (აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება, წარმოსახვა) განვითარება**

- გაკვეთილებზე ბავშვებს მოეთხოვებათ ყურადღების სწრაფი გადართვა ერთი საქმიანობიდან მეორეზე. ყურადღების ეს თვისება მშობლებმა შეიძლება განავითარონ სახლში მოძრაობითი სავარჯიშოების დახმარებით. ბავშვებმა შეიძლება შეასრულონ და შეწყვიტონ მოქმედება სპეციალური მითითებებით, ისე რომ სწრაფად გადავიდნენ ერთი სახის მოძრაობიდან მეორეზე (ფიზიკური სავარჯიშოების გამოყენება): სიარული, ხტუნაობა, გაჩერება
- შესთავაზეთ ბავშვს შემდეგი სავარჯიშო: გაზეთში ან ძველ წიგნში ერთ ხაზზე გადახაზოს ფანქრით ყველა ასო „ა“ ისე, რომ არცერთი არ გამორჩეს. (დავალება შეიძლება თანდათან გავართულოთ იმით, რომ ვთხოვოთ ბავშვს შემოხაზოს ყველა „ა“ ასო, წრე შემოავლოს ყველა ასო „დ“-ს და გახაზოს ყველა ასო „კ“
- გამოიყენეთ თამაშები გარკვეული წესებით
- მეხსიერების გასავარჯიშებლად წაუკითხეთ ბავშვს რაიმე მოთხრობა ან ზღაპარი და სთხოვეთ მისი გადმოცემა
- აზროვნების განვითარებისთვის გამოუმუშავეთ ბავშვს შედარების, ანალიზის და შეფასების უნარი. სთხოვეთ იპოვოს მსგავსება და განსხვავება საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს შორის. ამისათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სათამაშოები, სასწავლო ნივთები, ნახატები და ა.შ.
- გვახსოვდეს, რომ შემეცნებითი პროცესების განვითარების საფუძველს ემოციურ-ნებელობითი სფეროს განვითარება წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია შევუქმნათ ბავშვს თბილი, მყუდრო და მშვიდი გარემო. თუ ემოციონალური განვითარება სწორად წარიმართება და ბავშვი არ იქნება იმპულსური, ადეკვატურად აღიქვამს კრიტიკას, კონფლიქტურ სიტუაციებში არ იქნება აგრესიული და ა.შ., მის გონებრივ განვითარებაშიც სერიოზულ წარმატებებს მივაღწევთ.

**დანართი N3**

**სკოლა „ოქროს აკვანი“**

***ჩვირფასო მშობლებო!***

**გთხოვთ, დაუთმოთ რამდენიმე წუთი ამ კითხვარის შევსებას და ხელი შეგვიწყოთ ჩვენი პარტნიორობისთვის ინფორმაციის მოპოვებაში. (კითხვარი შედგენილია მოსწავლეთა მიდრეკილებების, ოცნებების, უნარების უკეთ გაგების და მშობელთა ჩართულობის და ინტერესების გათვალისწინების მიზნით კითხვარი საშუალებას მოგვცემს:**

1. **სხვა კუთხიდან დავინახოთ მოსწავლე**

2. გავიგოთ მშობელთა ჩართულობის ხარისხი და ინტენსივობა
3. გავითვალისწინოთ მშობელთა ინტერესები და სურვილები

1.ბავშვის სახელი და გვარი ----------------------------------------------------------------

2.რამდენიმე სიტყვით დაახასიათეთ თქვენი შვილი——————————————————————————————————————————————————

3.რამდენი ბავშვი იზრდება ოჯახში? -------------------------------------------------------

4.თქვენი შვილის ხასითის რომელ თვისებას მიიჩნევთ

ა) განსაკუთრებით დადებითად ___________________________

ბ) განსაკუთრებით უარყოფითად ___________________________

5. ოჯახის რომელ წევრთანა არის უფრო ახლოს ___________________________

6. საქმიანობა, რომელსაც ხალისით აკეთებს ___________________________

7.რითი ინტერესდება, რითი გეხმარებათ ოჯახში? ____________________________________________------------------------------------------------

8. პრობლემა, რომელსაც აწყდებით მასთან ურთიერთობისას ____________________________________________------------------------------

9.როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა დაგეხმაროთ სკოლა ამ პრობლემის მოგვარებაში ___________________________

10. დაასახელეთ მიზეზი, რისთვისაც შეუცვალეთ სკოლა ___________________________

11.როგორ ატარებს თავისუფალ დროს? ___________________________

12.ხართ თი არა კმაყოფილი შვილის აკადემიური მოსწრებით?

ა) კმაყოფილი ვარ ბ) არა ვარ კმაყოფილი;

**13. თქვენი სურვილები, მოლოდინები, რომელიც გინდათ სკოლამ გაითვალისწინოს მომავალში**——————————————

| | არასდროს | ზოგჯერ | ხშირად | ყოველთვის |
|---|---|---|---|---|
| ეხმარებოდით ღონისძიების ორგანიზებისას/მსვლელობისას | | | | |
| იყავით მოხალისე ექსკურსიაში | | | | |
| ხელმძღვანელობდით კლუბს ან აქტივობას | | | | |
| ეხმარებოდით სპორტულ ღონისძ. | | | | |
| ს ხ ვ ა ,გ თხ ოვ თმ ი უთი თოთ:_____ | | | | |

**17. რა მიზეზით ვერ შეძელით სკოლის საქმიანობაში ჩართვა?** (გთხოვთ, მონიშნოთ ყველა შესაბამისი დებულება.)

მე/ჩვენ არ ვართ ჩართული იმიტომ რომ:

☐ დატვირთული ვართ ბავშვის/ების მოვლით
☐ გვიჭირს ქართული ენის გაგება
☐ არაკომფორტულად ვგრძნობ თავს სკოლის გარემოში
☐ დრო ემთხვევა ჩემს სამუშაო საათებს
☐ ჩართული ვარ სკოლის სხვა აქტივობებში, რომლებიც იმავე დროს ტარდება
☐ ამ მომენტში ჩართულობა არ მაინტერესებს.
☐ მორიდებისა თუ ნერვიულობის გრძნობა
☐ ინტერესის არქონა მოხალისეობრივი შესაძლებლობების მიმართ
☐ სხვა, გთხოვთ მიუთითოთ: _____

**18. რა ტიპის სასკოლო ღონისძიების ჩატარებას ისურვებდით და რატომ?** -----
---

**19 თქვენ რა ფორმით მიიღებდით მონაწილეობას ასეთ ღონისძიებაში?** ----------
---
---

**გმადლობთ თანამშრომლობისთვის.**